კვირა, 6 მაისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 97

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევს 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

## „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი. სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

**სოფიო გიორგის ასული, ილია მიხეილის ძე ხარაშვილები, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 მაისს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### ოლღა მიხეილის ასულის კნ. ფავლენიშვილის

სულის მოსახსენებლად. ნიკოლოოზის ეკლესია. დასაწყისი დილის 10 საათზე. (1—76—1)

---

ორშაბათს, 7 მაისს, დილის ათ საათზე, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, ქალაქ კავკავში ორ მაისს უდროოდ გადაცვალებულის

### მიხეილ კონსტანტინეს ძე მამაცაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავ, მეგობარ-ნაცნობებს დედა იმისი ქვრივი გენერალ-ლეიტენანტისა **ნატალია დავითის ასული მამაცაშვილისა** შვილებითურთ. (1—76—1)

---

**ზაალ ადამის ძე ვარსიმაშვილი,** მეუღლე მისი **ოლღა დიმიტრეს ასული** და **ნიკოლოოზ ჭრელაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველნი—შვილი, მესამე ძმის-წულის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

### დათიკო ვარსიმაშვილისას

გამოსვენება 6 მაისს, 11 საათზე, ტფილისის სადგურზე ნიკოლოოზის ქუჩიდან № 84. დაკრძალვა დაბა სურამში 7 მაისს. (1—77—1)

---

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—96)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—104)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—5)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—13)

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—26)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხმოსნების ამოსარჩევად საბოლოო სიები მეორე საარჩევნო ნაწილისა, რომელიც შესდგება მე-5, 6 და 7 საპოლიციო ნაწილისაგან, აგრეთვე წესები და ინსტრუქციები თვით არჩევნების მოხდენისა და ბლანკები ხმოსნების კანდიდატების ჩასაწერად შეიძლება მსურველებმა მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში სამ ამა მაისიდან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა. (3—6.—3)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.
**გნუჩკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**ასპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრამე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ზოჟოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონხე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**გორონცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.
**ნეეზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.
**პივარსკი**, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—82)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—44)

**ახალი წიგნი**
დაიბეჭდა და საადგომოდ გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**ახალი ისტორიული მონოგრაფია**
### ამბოხება კახეთისა 1812 წ.
ა. ფრონელისა.
ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დიდებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ.“ (10—უ.—7)

---

## ყურადღება!!!



მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მანქანებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მანქანებს სხვა ფირმების მანქანებთ ნ.

ამ მანქანაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანქანები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მანქანების „როსსია“ ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—5)

---

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა

## ნაშრომი

1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2. **ახალი ქართლის ცხოვრება** (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“.)

**ფასი ერთი აბაზი**

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას“ გაჭირვებულ მეგრელ-გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში“ იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია“, „ქართ. გრამატიკა“ და სხვ. გამოცემანი.

**შეცდომის გასწორება.** წაიკითხეთ: „ნაშრომის“ გვ. 5—დაარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80—travailleur, 83—წარსულის... მართალად. (10—უ.—7)

---




**ოდოლი, გამოჩენილ მეცნიერთა აზრით, წარმოადგენს კბილების ისეთს გამოსარეცხს, რომელიც ამ ჟამად ყველა საშუალებებზე უფრო შეეფერება კბილის ჰიგიენის მოთხოვნას.**

ერთი ფლაკონი, რომელიც რამდენსამე თვის საყოფია, 1 მან. და 50 კაპ. ღირს.

(2—№ 18—2) (Метцль и Ко 143014)

---

## ტფილისი, 6 მაისი

პირველის შეხედვით რაღაც საარაკო ამბად გახდა სამეგრელოში ხალხის დამშევის ამბავი: კორესპონდენტები—შემთხვევითი და საგანგებოდ გაგზავნილნი,—ადგილობრივ საზოგადოების კეთილსინიდისიერი და გულშემატკივარი მეთვალყურენი, გზად გამვლელნი და გამომვლელნი ერთხმად ღაღადებენ, სამეგრელოში შიმშილობა ჩამოვარდაო; ადგილობრივი ადმინისტრაცია-კი დაჟინებით უარჰყოფს ამ გარემოებას. თითქო შიმშილს უჩინმაჩინის ქუდი დაუხურავს და, როგორც კი გაჩნდება ვინმე კაკარდოსანი, მაშინვე სადღაც მიიმალება, სხვა დროს-კი ურცხვად და უწყალოდ დაიარება და მძვინვარებს! მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით არის ასე; ნამდვილად-კი საარაკო საქმე ადვილად ასახსნელი და გასაგებია იმისთვის, ვისაც პოლიცია-ადმინისტრაციის ზნე-ჩვეულება აქვს კარგად გაცნობილი.

ყოველთვის ასე ყოფილა რუსეთშიაც და ჩვენშიაც, რომ ადმინისტრაცია გაჟინიანებულა ასეთ შემთხვევებში. შიმშილის აღიარება მისთვის ყელის დანით გამოჭრა ყოფილა; არა-თუ თითონ უარჰყოფდა, სხვასაც კრინტს არ დააძრევინებდა: მრავალ გუბერნიებში ხალხი იხოცებოდა შიმშილისაგან, პრესსასა და საზოგადოებას-კი ნება ეძლეოდა მხოლოდ „ნედოროდზე“ ლაპარაკისა და არა „გოლოდზე“. შორს მაგალითისთვის წასვლა არ გვჭირია: შარშან შემოდგომაზე რუსეთის ბიუროკრატია და მისი რეპტილიები უარჰყოფდნენ შიმშილს; ოფიციოზური „როსსია“ პირდაპირ სწერდა, შიმშილი ტენდენციურად შეთხზული ჭორია, რომელსაც კადეტები განზრახ ავრცელებენო! შიმშილი მხოლოდ მაშინ ირწმუნა მთავრობამ, როცა ამ საშინელებამ და სხვა და სხვა გვარმა სენმა ათასობით ხალხი გამოასალმა წუთი სოფელს. უფის გუბერნიაში ამ ჟამად თხუთმეტი ათასი კაცია მარტო ცინგათი შეპყრობილი და ათასობით ქალი, კაცი და ბავშვი იხოცება! აი შიმშილი ეს არის ნამდვილი, შიმშილი ასეთი უნდაო, გაიძახის ადმინისტრაცია, თორემ შარშან შემოდგომაზე—რა იყო: აგიტატორების მოგონილი ჭორი იყოო!

ასე ყოფილა წინადაც, ასეა ახლაც ჩვენში. პრესსა, საზოგადოება, თვით ხალხი ამბობენ; უკიდურესი გაჭირვება მოადგა კარს სამეგრელოსაო; ამბობენ, მიშველება დროზე უნდა, თორემ მალე საშინელება დატრიალდებაო; ადმინისტრაცია კი დაჟინებით უარჰყოფს ყოველივეს და ელის იმ დროს, როცა შიმშილისაგან ათასობით ხალხი გაწყდება. გუშინაც ოფიციალურ „კავკაზ“-ში დაიბეჭდა ქუთაისის გუბერნატორის მოხსენება ნამესტნიკისადმი, არც გურიაში, არც სენაკის მაზრაში შიმშილობა არ არისო, ზუგდიდისაში ჯერ გამოკვლევა არ გათავებულა და, როცა გავათავებთ, იქაურ ცნობებსაც გამოგიგზავნითო. წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზუგდიდის მაზრიდანაც მოვა სტერეოტიპული მოხსენება „все обстоитъ благополучно“... „უეზდნი ნაჩალნიკებს, პრისტავებს, პოსრედნიკებს“, რას იზამთ, ასეთი ზნე საჭიროა ხოლმე—ის დაინახონ, რაც უმაღლეს მთავრობას უნდა...

შიმშილი არ არსებობსო, ამტკიცებენ ადგილობრივი ადმინისტრატორები, რადგან სიმინდის ფასს არ აუწევიაო და რადგან მცხოვრებნი უარს ამბობენ სამეურნეო თანხიდან სესხის გატანაზეო. სიმინდის ფასის შესახებ უკვე იყო განმარტება მცოდნე და არა მცოდნე პირებისაგან: ამბობენ ყველანი, რომ სიმინდის ფასი იმიტომაა ასე დაბალი, რომ თვით სიმინდი არ ვარგა, გული აქვს გამოხრული ჭიისაგან, და აღარავინ ყიდულობსო. ხოლო ის გარემოება, რომ გაჭირვებულთ სესხი არ მიაქვთ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან, გასაკვირველი არ უნდა იყოს მისთვის, ვინც იცის, რა საშუალებებით ახდევინებენ გაღატაკებულ ხალხს ამ სესხს! მომხსენებელი თითონ სწერს, რომ მთელი ხალხი **დაუბრუნებელ** შეწყალებას თხოულობს და **სესხზე** უარს ამბობსო და, რა-კი ნამდვილ ამის მიზეზის გამომჟღავნება არ ჰსურს, ძველ ნაცად არგუმენტს მიჰმართავს და ამბობს „ეჭვს გარეშეა, რომ გლეხთა ამგვარი შუამდგომლობანი აგიტატორების ზეგავლენით ხდება“ ო... ისევ აგიტატორები!..

ქუთაისის ადმინისტრაცია, უნდა ვიფიქროთ, განზრახ ხელს აფარებს ერთ გარემოებას, რომელსაც საკმაოდ შეუძლია დღევანდელ „ნედორაზუმენიე“-ს ახსნა. როგორც-კი სამეგრელოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველანი ხაზს ავლებდნენ ერთ გარემოებას. საშინელი ხიფათი ის არის, რომ ხალხს სალი სათესი სიმინდი აღარ აქვსო, რომ ჩრჩილმა თუ ჭიამ თან და თან სრულებით გაანადგურა სამეგრელოში სიმინდიო, რის გამო ყოველ წელს ნაკლები და ნაკლები მოსავალი არის და სიმინდიც აღარ ვარგა საჭმელადაო; **თუ წელსვე ამ მხრით დახმარება არ აღმოუჩინა ხალხს, აუწერელი უბედურება მოელის ქვეყანასაო.** ეს გარემოება კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამაც უნდა იცოდეს მთავრობის სამსახურის აგრონომებისაგან და კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან? ქუთაისის ადმინისტრაციისათვისაც არ უნდა იყოს ეს საიდუმლო? რატომ ამ მხარეს არ აქცევენ ყურადღებას ოფიციალური „ოპროვერჟენიების“ მწერალნი?!...

იქნება ვინმემ იკითხოს, რით აიხსნება ადმინისტრაციის ასეთი ჟინიანობა მეგრელ-გურულთა მიმართო? ჯერ ერთი, წინათაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ გურულ-მეგრელი მარტო არაა ასეთ პირობებში: შიდა რუსეთშიაც ასე იქცევა ადმინისტრაცია და ამის მიზეზები ბევრია; აქ მხოლოდ ერთზე მივუთითებთ მკითხველთ, მით უმეტეს, რომ ეს მიზეზი თვით ქუთაისის ადმინისტრაციის მოხსენებაშია გაკვრით მოხსენებული. მართალია, ვკითხულობთ „კავკაზ“-ში, ზოგან არის გაჭირვებული ხალხი, მაგრამ ეს ისინი გახლავან, ვინც ბოროტ აგიტატორების გავლენით მემამულეთა მიწებს არ იღებენ იჯარითაო. ქუთაისის ადმინისტრაციას ჰსურს ამით სთქვას, რომ თუ შიმშილია სადმე, ეს აგრარულ მოძრაობის ბრალიაო. ძაღლის თავი აქაა დამარხული: ადმინისტრაცია ერთმანეთში ურევს ორ სულ სხვა და სხვა მცნებას და ამბობს—საქართველოში შიმშილი და გაჭირვება კი არ არისო, აგრარული „უწესოება“ ჰსუფევსო; ამიტომ ასეთი ხალხი დახმარების ღირსი კი არა, დასჯის ღირსი არისო. და აკი კიდევაც გვსჯის...

## ირლანდიის ავტონომია

ინგლისის პარლამენტში კვლავ გაიმართა ბრძოლა ირლანდიის ავტონომიის გამო, წამებული ირლანდიის ერი კვლავ სულგანაბული მოელის თავის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმის გადაწყვეტას!

მაგრამ, რა განსხვავებაა წარსულსა და აწმყოს შორის... გლადსტონის ჰომ-რული და ახლანდელ მთავრობის საავტონომიო პროექტი ისე შორს არიან ერთმანეთისაგან, როგორც, მაგალითად, ინგლისისა და რუსეთის პარლამენტები. გლადსტონის პროექტი სრულს ავტონომიას ქმნიდა: ირლანდიას ეყოლებოდა თითქმის დამოუკიდებელი საკანონმდებლო პარლამენტი, რომლის სამოღვაწეო სფერაც ფართო იქნებოდა და რომელსაც გადაეცემოდა აღმასრულებელი უფლებაც; იმპერიის წარმომადგენელი მხოლოდ საერთო კანონიერების მეთვალყურე და დამცველი იქნებოდა. კემპბელ-ბანერმანის მთავრობის კანონ-პროექტი-კი ჰქმნის სათათბირო დაწესებულებას, რომლის დანიშნულება იქნება ზოგიერთ საქმეში (საერო განათლება, ადგილობრივი მეურნეობა, გზები, საექიმო დახმარების ორგანიზაცია) დაეხმაროს ცენტრალურ მთავრობას. სეიმს არ ექნება გადამწყვეტი საკანონმდებლო უფლება, არ ექნება ხელში აღმასრულებელი უფლება, არ ექნება ფართო სამოღვაწეო ასპარეზი. სეიმის წევრთა ერთ მესამედს თვით მთავრობა დანიშნავს; ირლანდიის ნამესტნიკს „ვეტო“-ს ნება ექნება, ე. ი. ნება ექნება შეაჩეროს სეიმის ყოველი ღონისძიება და ცენტრალურ მთავრობასთან განასაჩივროს, უკანასკნელს კიდევ ნება ექნება ცენტრალურ პარლამენტის დაუკითხავად დაარღვიოს ირლანდიის სეიმის განაჩენი.

ასე მცირეა ირლანდიის ახალი ჰომ-რული,—ის ჰომ-რული, რომლისთვის ასე გამწარებით იბრძვის ირლანდიის ერი თითქმის ეს ერთი საუკუნეა! ინგლისის

ლიბერალებმა ვეღარ გაჰბედეს გლადსტონის დიდებულ ცდის განმეორება და, როგორც მტკიცე რეალურ პოლიტიკის მიმდევრებმა, ისეთი პროექტი შეთხზეს, რომელიც ნაკლებ წინააღმდეგობას გამოიწვევს ინგლისელებისაგან. მართლაც, ახლა ინგლისის პარტიები და საზოგადოებრივი აზრი წინანდელ მტრობას აღარ იჩენს და, თუმცა ლორდთა პალატა კიდევ ყოყმანობს, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ უკანასკნელ წუთში „ბრწყინვალე პერებიც“ ხელს აიღებენ დაუსრულებელ ოპოზიციისაგან და შეიწყნარებენ მთავრობის ერთობ მკრთალ კანონ-პროექტს...

საინტერესოა თვით ირლანდიელ მებრძოლ პარტიებისა და ინგლისის დემოკრატიულ ელემენტების პოზიცია ამ საკითხში. ესენი, რა თქმა უნდა, ერთობ უკმაყოფილონი არიან: ასეთ მცირე თვითმართველობისათვის როდი იბრძოდნენ ამდენხანს; მაგრამ მაინც მხარს უჭერენ მთავრობის პროექტს იმ იმედით, რომ ახლო მომავალში აიძულებენ ინგლისის ცენტრალურ პარლამენტს და ირლანდიის ავტონომიას გააფართოვინებენ. ირლანდიელებმა მწარე გამოცდილებით იციან, რა მძიმეა ინგლისელებისათვის ირლანდიის ჰომ-რულის განხორციელება და თანდათანობის პოლიტიკის გზას დაადგნენ. მაგრამ, თუ მოლოდინმა უმტყუნა მათ, თუ ახლო მომავალშივე ვერ გამოჰგლეჯენ ინგლისს სრულს ავტონომიას, მაშინ, გადაწყვეტილი აქვთ, სრულებით უარჰყონ შემოღებული თვითმართველობა, ჩვეული და ნაცადი ბოიკოტი გამოუცხადონ და კვლავ განაგრძონ ბრძოლა სრულს პოლიტიკურს თვითმართველობისათვის.

ირლანდიის ერის ენერგია და ინგლისის დემოკრატიის განწყობილება თავდებნი არიან, რომ მრავალტანჯულს ერს, ბოლოს და ბოლოს, სრული გამარჯვება დარჩება.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახ. სათათბიროს სხდომა** 4 მაისის სხდომაზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით, სათათბირომ მოისმინა სათათბიროს შტატების სარედაქციო კომისიის საბოლოო მოხსენება, რომელიც ვლადიმირ გესსენმა წაიკითხა. რედაქცია სათათბირომ ერთხმად მიიღო. ჯერი მიდგა 168 წევრის განცხადებაზე, რომელიც ეხება საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებას. თხოულობენ დაარსდეს კომისია და იმ კომისიას გარდაეცეს განსახილველად მთავრობის ყველა კანონ-პროექტები ამ საქმის გამო.

ვლადიმირ გესსენმა განცხადებას მხარი დაუჭირა.

საერო განათლების მინისტრმაც მოიწონა 168 წევრის განცხადება. საჭიროდ სცნო საყოველთაო პირველ დაწყებითი სწავლა-განათლების შემოღება, განსაკუთრებით შიდა რუსეთისათვის, რომელიც განათლებით უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე იმპერიაში მცხოვრებნი ბევრნი არა რუსნი. 12 მილიონ ბავშვებისაგან სწავლობდა მხოლოდ 5 მილიონი. 7,300,000 ბავშვი ვერ იშოვნა. ეხლა რუსეთში ყოფილა 90,000 სკოლა. მინისტრის აზრით საჭიროა 160,000 ახალი სკოლა. საქმეს აჭირებს ფულების უქონლობაო, სთქვა მინისტრმა, მაგრამ სწავლა განათლებისთვის დახარჯული ფული საიმედო მომგებიან ბანკში შენახული ფულების მზგავსიაო. ამიტომ მოითხოვა, კანონ-პროექტი საჩქაროდ კომისიას გარდაეცეს, რომ შემოდგომისთვის სკოლების გახსნა მოასწრონო.

არხანგელსკის აზრით საყოველთაო განათლების საკითხი ისეთივე საჩქაროა, როგორც აგრარული და სანამ კომისიას გარდასცემდნენ საჭიროა სათათბირომ გაარჩიოს, თუ რა წესით იმუშაოს კომისიამ ამ საკითხის შემუშავების დროს. გომინსკიმ გამოთქვა ის აზრი, რომ სწავლა-განათლებისთვის ხარჯი არ უნდა დავიშუროთო; აღნიშნა ის სამწუხარო პოლიტიკა, რომელსაც მისდევს საერო განათლების სამინისტრო პოლონურ სკოლების მიმართ.

კრაევსკიმაც პოლონეთის სკოლების უნუგეშო მდგომარეობა დაასურათა. საერო განათლების სამინისტროო, სთქვა ორატორმა, ხშირად შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეს ასრულებსო.

მახმუდოვმა დაასურათა მ ჰმადიანთა სკოლების და მასწავლებლების ცუდი მდგომარეობა.

ტიგრანიანცმა ცხარე კრიტიკის ქვეშ გაატარა საერო განათლების სამინისტროს მოქმედება. ორატორის აზრით სკოლას განაახლებს და დაღუპვისაგან დაიხსნის სკოლის დემოკრატიზაცია და ნაციონალიზაცია.

ვოზნესენსკიმ განაცხადა: მე როგორც სოფლის მასწავლებელმა პირადის გამოცდილებით ვიცი და ვამოწმებ სოფლის მასწავლებლის სატირელ მდგომარეობას, რადგან ხშირად მასწავლებელი განათლების მაგივრად, იძულებულია გონებით ასახიჩროს მისდამი მობარებული ბავშვებიო.

პურიშკევიჩმა ადგილიდან შენიშნა: ვოზნესენსკის ენის ფალარათი სჭირსო. თავმჯდომარემ პურიშკევიჩს შენიშვნა მისცა. როცა შემდეგი ორატორი ხასანოვი ლაპარაკობდა, მემარჯვენეები განუწყვეტლივ სხვა და სხვა შენიშვნებს იძლეოდნენ. ხასანოვის სიტყვების შემდეგ: „როცა თვით მპყრობელობა მტკიცე იყო“-ვო, კელეპოვსკიმ და მის შემდეგ საზანოვიჩმა ყვირილი მორთეს: „თვითმპყრობელობა ახლაც მტკიცეა“-ო. უკან მემარჯვენე გლეხებ შორის გაისმა ხმა: „ძირს, ძირს ორატორიო!“ ატყდა საზოგადო ხმაურობა და მოძრაობა. ხმაურობამ იმატა.

ხასანოვმა ტრიბუნიდან დამამშვიდებელი კილოთი სთქვა: „თქვენი აზრით რუსეთში თვითმპყრობელობაა, ჩვენი აზრით კი კონსტიტუციაა“. ყვირილი და ხმაურობა კიდევ უფრო მოიმატა. თავმჯდომარემ ზარის რეკას მოუხშირა. ორატორმა განაცხადა: კარგი მე წავალ ტრიბუნიდან, მაგრამ არა იმიტომ, რომ თქვენ... თავმჯდომარემ შენიშნა ორატორს: „რისთვის უნდა წახვიდეთ, თქვენ ახლავე გაათავებთ თქვენს სიტყვას. წინადადებას ვაძლევ სათათბიროს, უადგილოდ მოქცევისათვის დეპუტატები პურიშკევი, კელეპოვსკი და საზანოვიჩი დათხოვნილ იქმნან დღევანდელი სხდომისაგან. ვინც თანახმაა ჩემი წინადადებისა, იჯდეს, ვინც არა,—ადგეს. წამოდგა რამდენიმე მემარჯვენე. წინადადება მიღებულ იქმნა (ძლიერი ტაშის ცემა). თავმჯდომარემ სთხოვა სამთავეს გავიდნენ დარბაზიდან. სამნივე დემონსტრატიულად ადგილიდან არ იძვრიან.

თავმჯდომარე: დროებით ვწყვეტ სხდომას. ხელ ახლა სხდომის განახლების შემდეგ პურიშკევიჩი, კელეპოვსკი და საზანოვიჩი დარბაზში აღარ უნდა იყვნენ“.

ხუთის წუთის შემდეგ სხდომა განახლდა და სამთავენი თავიანთ ადგილზე აღმოჩნდნენ.

თავმჯდომარე: რადგან სათათბიროს წევრები პურიშკევიჩი, კელეპოვსკი და საზანოვიჩი დადგენილებას არ დაემორჩილნენ და არ გავიდნენ, წინადადებას ვაძლევ სათათბიროს, დაითხოვოს ისინი 15 მომავალ სხდომიდან. (ძლიერი ტაში). მცირე კამათის შემდეგ თავმჯდომარე აყენებს საკითხს, პურიშკევიჩი, კელეპოვსკი და საზანოვიჩი 15 სხდომიდან დათხოვნილი იქმნენ თუ არა. ვინც თანახმა არაა, ადგეს. მემარჯვენეთა უმრავლესობა და რამდენიმე ოქტომბრისტი წამოდგა; ს.-დემოკრატები მონაწილეობას არ იღებენ. წინადადება მიღებულ იქნა. თავმჯდომარე მიუბრუნდა დათხოვნილებს. „გთხოვთ გაბრძანდეთ“. პურიშკევიჩმა დაიყვირა: „ბოქაულმა ძალით გამიყვანოს.“

თავმჯდომარემ სხდომა შეწყვიტა. დასვენების დროს კელეპოვსკი და საზანოვიჩი დარბაზიდან გავიდნენ. როცა სხდომა განახლდა, პურიშკევიჩი თავისს ადგილზე აღმოჩნდა და უდარდელად გაზეთს კითხულობდა.

თავმჯდომარე: პურიშკევიჩზე არც სათათბიროს დადგენილება მოქმედებს, არც მუქარა, რომ ძალით იქმნება გაყვანილი. იძულებული რომ არ გავხდეთ მივმართოთ ისეთ საშუალებას, როგორც დეპუტატ-ს ძალით გაყვანაა, სხდომას დახურულად ვაცხადებ და დავსძენ, რომ ჩვენი მუშაობის შეწყვეტის ბრალი პურიშკევიჩს ედება. დეპუტატები პურიშკევიჩი, კელეპოვსკი და საზანოვიჩი 15 სხდომას არ უნდა დაესწრონო.

პურიშკევიჩი ადგილიდან: „მოვალ, როცა ჩემი რიგი დადგება ვილაპარაკო საერო განათლების საქმეზე.

სხდომა დაიხურა 5 საათსა და 25 წუთზე. დეპუტატებს შორის დიდი მღელვარებაა.

## ახალი ამბავი

**სეირნობა და ლატარეია-ალეგრი.** „ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გასამდიდრებლად 26 მაისს გაიმართება სეირნობა ლატარეია-ალეგრითურთ. საზოგადოებას წელს ძალიან ცოტა შემოსავალი აქვს და იმედია საზოგადოება დახმარებას გაუწევს გამგეობას. შემოწირულებანი საზოგადოების სახელზე შეიძლება გამოიგზავნოს. მიიღება როგორც ფული, ისე ნივთები ლატარეიასათვის.

**კახეთის რკინის გზა.** დღეს 6 მაისს, ნამესტნიკის თავმჯდომარეობით გაიმართება თათბირი კახეთისაკენ რკინის გზის გაყვანის შესახებ. მიწვეულნი არიან ინჟენრები და სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი.

**ქართული ენის პროგრამმა.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფ. საშუალო სასწავლებლების ქართულ ენის მასწავლებელნი შეუდგნენ ქართული ენის პროგრამის შემუშავებას საშუალო სასწავლებლებისათვის. პედაგოგების კრებამ ამ ათი დღის წინად აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა პროგრამის პროექტის გადათვალიერება და შევსება-შესწორება. კომისიას უკვე დაუსრულებია საქმე და ამ დღეებში პროექტი განსახილველად წარედგინება პედაგოგთა კრებას.

**მეისრის მოკვლა.** 4 მაისს, ტფ. სადგურზე საღამოს 8 საათზედ ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა მეისრე ტრიფონ ვდოვინი.

**მოთხოვნილებანი.** ტფ. ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოების მოსამსახურეებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს გამგეობას. ითხოვენ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ახალი კავშირი.** ტფილისის სტამბებისა და რედაქტორების კანტორებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ბიურომ 5 მაისს ტფ. გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად კავშირის წესდების პროექტი.

**ბეითალთა კრება.** ბეითალთა საზოგადო კრება დაინიშნა ტფილისში 20 ოქტომბრისათვის.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება ივანე ზურაბოვი, რომელსაც ჰბრალდება სოც.-დემოკრატიულ მებრძოლ ორგანიზაციის წევრობა. ვოლოგდის გუბერნიაში იგზავნებიან სამხედრო წესების მოხსნამდე სიღნაღის მაზრის სოფ. ველ ჯინითის მცხოვრებნი: ალექსი ვახვახიშვილი, რაჟდენ ზაკალაშვილი, ნიკოლოზ წიკლაური, ზაქარია ამირაჯიბი, გერასიმ ჭინტურიძე, ივანე მაჩხაშვილი და გიო დემეტრაშვილი. ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: დავით მელანაშვილი, დავით არჩვაძე, ვასილ დვანიძე, მაქსიმ კუჭავა, ანდრია ელიოზიშვილი, კონსტანტინე საბულუა, ალექსანდრე გეგეჭკორი, დომენტი ცხვირაშვილი, გ. ბელოზოროვი და ა. ელპეა. 25 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონი ხუდანიანცი.

**ბუნების მოყვარულნი.** 4 აპრილს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა კრება ტფილისში ახლად დაარსებულ ბუნების მოყვარეთა საზოგადოებისა. კრებას დაესწრო 60 კაცი. კრებამ მოისმინა ორი მოხსენება სატუნინისა ზოოლოგიაზე და გერსოვისა ბოტანიკაზე. წევრნი საექსკურსოდ იყვნენ წყნეთის ახლო ეგრედ წოდებულ „კუს ტბაზე“ და შეუსწავლიათ მის გარშემო მცენარეულობა და მწერები. საზოგადოების წევრნი 9 მაის მცხეთაში მიდიან არმაზის ხევის დასათვალიერებლად.

**მეეზოვის მოკვლა.** 5 მაისს ღამე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა მეეზოვე გეურქ ტერ-სააკოვი. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**წარმოდგენა ქართულ დრამატიულ საზ. სასარგებლოდ.** ორშაბათს, 7 მაისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში დანიშნულია რუსული წარმოდგენა იავორსკის ქალის დასისა ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოადგენენ ახალს საინტერესო პიესას „პრიმადონნას“. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ წარმოდგენას.

**ხონის პროგიმნაზიის სასარგებლოდ.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: ხონის პროგიმნაზიის სასარგებლოდ შესწირეს ას-ასი მანეთი: 1. პოლიექტ ვიქტორის ძე

## ფელეტონი

### განთიადი

განთიადის მოლოდინში
იცრიცება ბნელი ღამე;
დედამიწას ეფინება
აწ სინათლე და სიამე!
მიჰქრის ღამე და თან მისდევს
მას სიბნელე და წყვდიადი,
ბრწყინვალე მზემ სხივი გვტყორცნა,
თან დაგვძახა: განთიადი!

ტოროლამა ფრთა ფრთასა ჰკრა,
ცას აფრინდა, იქა გალობს;
ტყე-მინდორიც ახმაურდა:
ისმის სტვენა... ყველა ჰხარობს!
დაბლობიდან თეთრი ნისლი
მაღლა მთისკენ ეშურება,
და ნორჩ ყვავილს, გადაფურჩქნულს,
ცით ნამ-ცვარი ეპკურება!
მთას ნიავმა წამოჰქროლა,
ძირს დაეშვა მინდორ-ველად;
იქ ზღვის ტალღებრ შეარხია
მობიბინე ყანა ნელად!..

ცა განათლდა... შემუსრა
ღამის ბინდი და წყვდიადი;
ვაშა, ვაშა! გიხაროდეთ:
განთიადი!.. განთიადი!..

ა. შანშიაშვილი.

### თანამედროვე საკითხები

**ორტოდოქსები გლეხთა საკითხში.**

წერილი მეორე *)

დასაბამი მარქსიზმის ორტოდოქსალურ მიმართულებისა ცნობილ „კომუნისტურ პარტიის მანიფესტშია“, რომელიც პირველად 1848 წელს გამოიცა. აქედან საზრდოობს დღევანდლამდე ორტოდოქსია და მის სახელმძღვანელო პრინციპებით სარგებლობს თუ თეორეტიულ მსჯელობის დროს და თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ეს აქტი ეხება, თუმცა გაკვრით, სოფლის მკვიდრსაც—გლეხ-კაცს. დავხედოთ, რას ამბობს ამის შესახებ „მანიფესტი“.

„ყველა კლასსთაგან, რომელნიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიდიან, მხოლოდ ერთად-ერთი პროლეტარიატია ჭეშმარიტ რევოლიუციონერთა კლასსი. **დანარჩენი კლასსები იმხობიან და ილუპებიან** მსხვილ მრეწველობის განვითარებასთან ერთად; პროლეტარიატი კი—მისი სპეციალური პროდუქტია“. ვინ არიან ეს დანარჩენი კლასსები? პასუხი იქვეა: „საშუალო წოდებები, წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი და გლეხი“. და ყველა ეს კლასსები, ვკითხულობთ მანიფესტში **„რევოლიუციონერები არ არიან, ისინი კონსერვატორები არიან. უფრო მეტიც, ისინი რეაქციონერები არიან, ისინი სცდილობენ ისტორიის ბორბალი უკან დააბრუნონ“**.*)

შემდეგ, პირველივე სტრიქონები „ერფურტის პროგრამისა“ (1891 წ. კონგრესსის მიერ არის მიღებული), ამ ახალ კატეხიზმოსი სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა, ასე იწყება: „ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას ბუნებრივის აუცილებლობით მოაქვს **წვრილ წარმოების დაცემა**, რომლის საფუძველია კერძო საკუთრება მშრომელისა წარმოების იარაღებზე. იგი აშორებს მუშას წარმოების საშუალებათაგან და არაფრის მქონე პროლეტარად აქცევს მას, მაშინ როდესაც წარმოების საშუალებანი გადადიან მონოპოლიურ მფლობელობაში შედარებით მცირე რიცხოვან კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათ-მფლობელთა“ (კურსივი ჩვენია). როგორც აქედანაცა სჩანს (ქვემო ტექსტი აღარ მოგვყავს), აქ იგულისხმება წვრილი წარმოება როგორც ინდუსტრიასა, ისე სასოფლო მეურნეობაში.

ჩვენ განგებ არ მივმართეთ კერძო თხზულებებს და მოვიყვანეთ ციტატები ორ იმისთანა აქტიდან, რომელიც ითვლება „საერთო პროგრამმად მრავალ მილიონ მუშათა ყველა ქვეყნისა ციმბირიდან მოკიდებული კალიფორნიამდე“ (წინასიტყვაობა ფრ. ენგელსისა „მანიფესტის“ გერმან. გამოც. 1890 წ.)

ამ ციტატებიდან შეგვიძლიან შემდეგი ორი დასკვნა გამოვიტანოთ: ა) გლეხ-კაცობა კონსერვატიულ-რეაქციონური ელემენტია და, როგორც ასეთი, იგი ანტიკოლლექტივისტია (გაიხსენეთ ანტიკოლლექტივისტური ქალი“); თავის სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობის გამო, იგი სოციალიზმის მტერია და, ცხადია, იგი სოციალისტურ მოძრაობის უღელში ვერ ჩაებმევა და ბ) თვით გლეხ-კაცობა უნდა აღიგავოს დედამიწიდან და მასთან ერთად უნდა დაიღუპოს აუცილებლად მისი წვრილი მეურნეობაც მსხვილ მრეწველობა-მეურნეობასთან ბრძოლაში, რადგან ასეთია გარდუვალი ისტორიული პროცესსი.

მეორე მხრით, მივმართოთ თანამედროვე ცხოვრებას. იგი რაღას გვეუბნება? გაამართლა თუ არა მან ესეთი უარყოფითი შეხედულება გლეხ კაცობაზე, შეხედულება, რომელიც დღევანდლამდე გაბატონებულია სოციალ-დემოკრატიის ბანაკში? ჩვენ ვამბობთ და ვამბობთ გადაჭრით, რომ არა.

რუსეთის ეხლანდელი აგრარული მოძრაობა რომ ავიღოთ, შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვუქვათ, რომ იგი უმეტესად სოციალისტურია. გლეხ-კაცობას*) „თავისუფლებაც“ იმიტომ უნდა, რომ „მიწა მოიპოვოს, როგორც ერთ-ერთი იარაღი წარმოებისა; იგი იბრძვის ერთდროულად „მიწისა და თავისუფლებისათვის“ და უფრო მეტად „მიწისათვის“. „მიწა“-კი ისეთი ელემენტია იმის ბრძოლაში, რომელსაც სოციალისტურ-რევოლიუციონური ელფერი შეაქვს მასში. „მიწა“ მას უნდა არა კერძო საკუთრებად, არამედ საერთო კუთვნილებად; „მიწით“ უნდა ისარგებლოს მხოლოდ მშრომელმა, მიწის მუშამ და იმ სახით, იმ ზომით, რომ მეტ-ნაკლებობა სარგებლობაში არ იყოს. საერთო სწორ-მართალ სარგებლობას-კი საერთო წარმოებაც უნდა მოჰყვეს. მართალია, ასეთ სოციალისტურ აგრარულ პროგრამის განხორციელებას შესდგომია ჯერ მხოლოდ მცირე შეგნებული ნაწილი გლეხ-კაცობისა; მართალია უმეტესობა უკანასკნელისა ჯერ არ ჩაბმულა ამნაირ მოძრაობაში და კერძო საკუთრების ინსტიქტები მასში არ ჩამქრალა, მაგრამ ეს მხოლოდ გლეხკაცობის მიერ თავის ინტერესების, კლასობრივ მდგომარეობის შეუგნებლობას ამტკიცებს და არა იმას, რომ გლეხ-კაცი სოციალიზმს ვერ იგუებს. თვით პროლეტარიატი კი ყოველთვის ისეთი შეგნებული იყო, როგორიც დღეს არის? ის პროლეტარიატი, რომელიც სოციალიზმის შემოქმედია, რომელიც მთელის თავის არსებით, თავის ინტერესებით შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტი? ის ოდესღაც, პირველ მოძრაობის დროს, უფრო გაუგებარი, უფრო დაბრმავებული, თავის მდგომარეობის არ მცოდნე იყო, ვიდრე თანამედროვე გლეხკაცობა: მას პირველ ხანებში თავის მტრად მანქანა დაესახა და იმას ებრძოდა. და თუ პროლეტარიატი დღეს ჩვანაირად უკქერის გარემოს, ამისი მიზეზი არა მარტო მისი სოციალური მდგომარეობაა, რომელიც მუდამ უკარნახებს მას სოციალიზმს, არა მარტო საზოგადოებრივი ატმოსფერა ან კონკრეტული პირობები მუშაობისა, რომელთა შორის ქალაქის მუშა ტრიალებს, არამედ ამის მიზეზი ის ინტელექტუალური ძალაც გახლავს, რომელიც მის შეგნებას ამუშავებს, ანვითარებს, პოტენციალურ მდგომარეობას რეალურ სახეს აძლევს. ჩვენის შეხედულებით, ვინაიდან გლეხკაცობასა და პროლეტარიატს შორის კლასსობრივ პოზიციის მხრივ არ ვითარ არსებით განსხვავებას არა ვპოვებთ, გლეხ-კაცობას, როგორც მთელ მასსას, მხოლოდ შეგნება აკლია, თორემ მდგომარეობა ხელს არ უშლის სოციალიზმის შეთვისებისათვის. რომ გლეხ-კაცობაშიც პროლეტარული ფსიხიკა არ იყოს, რომ მისი და საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში მომუშავეთა ინტერესები ერთი არ იყოს, განა შეიძლებოდა ერთ ნაწილს მაინც დაეწყო ასეთი მოძრაობა? მაგრამ სადაც ერთი ნაწილია და არა თითო-

*) იხ. „ისარი“ № 96.

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

*) ყველგან, სადაც ჩვენ გლეხ-კაცობას ვიხსენიებთ, ვგულისხმობთ მის წვრილ მშრომელ ნაწილს.

ქუთათელაძემ. 2. ბესარიონ კოსტ. ნადარეიშვილმა, 3. ივანე დავით. ჭავჭანიძემ, 4. მიხეილ ივანის ძე სანოძემ, 5. პავლე ივ. ჩხენკელმა, 6. თომა გრიგ. ბახტაძემ, 7. დავით გორდაძემ, 8. მათე ბას. ბახტაძემ, 9. ლუკა დავ. სანოძემ, 10. ივანე სიმ. შარაშიძემ, 11. ბესარიონ კიმოთ. კაკაბაძემ; ხუთ-ხუთი თუმანი: 1. კოსტა ბეჟ. ქუთათელაძემ, 2. ისლამ ოტიას ძე კარტოზიამ, 3. პლატონ დავ. ჭავჭანიძემ, 4. ბართლომე დავ. ჭავჭანიძემ, 5. ბიკენტი ქუთათელაძემ, 6. ალექსი თომ. გიორგობერიძემ, 7. იოსებ გრიგ. ბალანჩივაძემ, 8. დიმიტრი და მელიტონ ივან. ბარქაიებმა.

✦ გამოვიდა ახალი გამოცემა „გლეხისა“—„რა უნდათ სოციალისტებს“ ფასი 2 კაპ.

✦ გუმბრის მცხოვრებ ბუდაგიანს ნება დაერთო გამოსცეს სომხურს ენაზე ყოველდღიური გაზეთი „ჟოჲ“ (კლდე).

✦ 4 მაისს ღამე ვიღაცებმა გაჰქურდეს არშაკ მდივანოვი. წაიღეს 446 მან. ქურდებს სახლი გაოტეხიათ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქართულ წარმოდგენის საქმე მეტად შეფერხებულია ქუთაისში. გაიხედავ,—ორ ადლიანი აფიშებია გაკრული: „ქუთ. ქართული დრამატიული დასი, სცენის მოყვარეთა დახმარებითაო“ და სხვა და სხვა. მიხვალ და ვერც დასს ხედავ და ვერც სცენის მოყვარეთ. ესენი გახლავან ყოფილ დასის სტატისტები და სცენის მოყვარენიც, ღმერთმა შეინახოს! სასცენო ესტეტიკისა მათ იმდენი ესმით, რამდენიც მე რუსეთის კონსტიტუციისა. ანდაზა რომ არის · უძაღლო ქვეყანასაო... ისე მოსდის ქუთაისის ქართულ სცენას.

✦ 1 მაისს ღამე პოლიციამ რამდენსამე ადგილს გაჩხრიკა კერძო სახლები და სასტუმროები და რამდენიმე კაციც დაატუსაღა. სხვათა შორის გაჩხრიკეს ბანკის დამფასებლის ნ. დგებუაძის სახლი, სადაც, როგორც აღმოჩნდა, ცხებდნენ ალშიბაიას, რომლის ძმა შარშან მსხვერპლი შეიქნა ჯალათისა მის სახლის დაწვის შემდეგ. ალშიბაია დგებუაძის სახლში არ აღმოჩნდა.

✦ ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს სხდომამ 2 მაისს მოისმინა ოლქის მზრუნველის წინადადება, რომ მეექვსე და მეშვიდე კლასების მოსწავლეთა გამოცდას სამასწავლებელო უწყების წარმომადგენელი დაესწრებაო და რა მიიღო მხედველობაში, რომ მოსწავლეთ ასეთი გამოცდის სურვილი არ განუცხადებიათ, როგორც ამას მოითხოვს წესი, საჭიროდ სცნო გაგზავნოს დაუყონებლივ ტფილისში გიმნაზიის გამგე ბ-ნი ოცხელი, რომელმაც უნდა გამოირკვიოს ასეთი განკარგულების მიზეზი. გარდა ამისა მზრუნველის მოწოდებაში ნათქვამია, რომ იმ მოსწავლეთ, რომელნიც გამოცდის სურვილს განაცხადებენ, ოლქის წარმომადგენელის ხარჯის დასაფარავად უნდა გადაიხადონ თითო თუმანი.

## პატარა ფელეტონი

### კრების თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა.

ამას წინად ბაქოსკენ გამგზავრება მომიხდა. ვაგონში, ჩვეულებისამებრ, ახლო მჯდომ ყველა თანამგზავრს გავეცანი. ერთი მათგანი ავადმყოფი, სუსტ ნერვებიანი კაცი იყო და ამავე დროს რაღაც მიმზიდველი ძალა უნათებდა თვალებში. იმისმა მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა ყველანი შეგვახალისა, გაგვამხიარულა და მგზავრობა შეგვიმოკლა. შესანიშნავ და ამავე დროს იდუმალ, გამოუცნობ ძალას წარმოადგენს ცხოვრებაში ცოცხალი აზრით სულ-ჩადგმული ადამიანის გონება. ჩვენ დროში, როცა ასე ვრცლადა და ზედა-პირულად გავრცელებულია საზოგადოებაში ადვილ შესათვისებელი რწმენა, რომ ადამიანის „გული, ცნობა და გონება“ მხოლოდ სხეულის ქვედა ნაწილის-სტომაქის „ზედნაშენია“, ავადმყოფი და თან სულითა და გონებით სალი ადამიანი ამ სამარცხვინო მოძღვრების ცხადი უარყოფაა. ვინც ამ პატარა, სნეულებისაგან სხეულით დაჩაგრულ ჩვენ თანამგზავრს გარედან თვალს მოჰკრავდა, უნებურად იფიქრებდა, რომ მისგან კვნესისა და ოხრა-მოთქმის მეტს ვერაფერს ეღირსებოდა; მაგრამ, გაიცნობდა თუ არა, აზრს მალე შესცვლიდა.

ამ არა-ჩვეულებრივ კაცთან ლაპარაკის დროს გამახსენდა ლევ ტოლსტოის მიერ მოყვანილი ნამდვილი ამბავი სახელ-განთქმულ მწერლის ერთ ნაცნობ ადამიანის შესახებ, რომელიც ოცი წლის განმავლობაში დამბლა-დაცემული, დაკუტებული იწვა ლოგინში და ამავე დროს მასთან მრავლად მიდიოდნენ გატეხილი გულის გასამთელებლად და სულიერ სიმტკიცის აღსადგენად სხეულით ჯან-საღნი, სულით კი ჩაგრულნი სტუმრები. დამბლა-დაცემული კაცი ფეხზე მოსიარულეთ გულს უმაგრებდა, რაღაც ცხოველ მყოფელ რწმენას უღვიძებდა გულში, უარჰყოფდა ძველებისაგან ნაანდერძევ ანდაზას, რომ მხოლოდ ჯან-საღ სხეულში ბუდობს ჯან-საღი სული და ცხადად ამტკიცებდა თანამედროვე ფილოსოფოსის მიერ გამოთქმულ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ ჯან-საღი სული ჰქმნის ჯან-საღ სხეულს.

ჩვენმა თანამგზავრმა სრულებით დაგვავიწყა გულის შჩაგრავი დღევანდელი სამხედრო წესები, ყველგან გამეფებული საომარი მდგომარეობა, სულის მომწყვლელი და პირის დამალრეჯელი მძიმე დრო, როცა ადამიანი თითქო მხოლოდ იარაღის მაჩანჩალად, თოფ-ზარბაზნის ორფეხა დამატებადაა გადაქცეული. თავის მკვეთრ, მოსწრებულ სიტყვებით იგი დღევანდელ ჩვენ ცხოვრებაზე ზედ ამოჭრილ სურათებს გვიხატავდა თვალ-წინ და ამავე დროს სიცილით გვკლავდა.

მოვიყვან ჩვენი ნაცნობის ნათქვამიდან საუკეთესო ნიმუშებს. მაგალითად, იმან რამდენიმე სიტყვით ნათლად განგვიმარტა, თუ რანაირად ღრმად ესმით სრულიად რუსეთის პოლიციის მოხელეებს შემდეგი ფრიად საგულისხმიერო ცნებანი: კრების და სიტყვის თავისუფლება.

—ჩვენ პაწია სამშობლო პროვინციალურ ქალაქში, გვითხრა თანამგზავრმა, მანიფესტის გამოცხადების შემდეგ გახარებულმა მცხოვრებლებმა ქალაქის შუაგულ მოედანზე კრება მოახდინეთ. გვინდოდა ახლად მონიჭებული უფლებით გვესარგებლა და ხანგრძლივ კარჩაკეტილობით დამწუხრებული ჩვენი გული ურთიერთისადმი თავისუფლად გადაგვეშალა. ყველას სიხარულით სახე გვინათებდა; ყველანი ჩქარის ნაბიჯით მივისწრაფოდით მოედნისაკენ სანატრელ კრებაზე დასასწრებლად. მალე საიდანღაც გაჩნდა კრების შუა-გულში მაღალი სკამი: ზედ მსწრაფლ შესკუპდა ადგილობრივი საუკეთესო მჭერ-მეტყველი მოღვაწე და კრების მიმართ აღტაცებული სიტყვა დაიწყო. მაგრამ ერთ წამსაც არ გაუვლია და მოედანზე უეცრად მოიჭრა ქალაქის ბოქაული ორი პოლიციელით, თავ-მოყრილ ხალხის წინაშე დიდებულად აიტუზა და მრისხანედ დასჭექა:

—ეს რა ამბავია, როგორ გაბედეთ, რომ აქ თავი მოგიყრიათ, თქვე ასეთებო-ისეთებო, თქვე უგუნურო და გაუმაძღარო ხალხო! არ გეყოთ: კიდევ მთავრობას უმადურობას უცხადებთ? ხომ ყოვლად უმოწყალესად მოგანიჭათ კრებისა და სიტყვის თავისუფლება. ახლა რაღა გინდათ: რისთვის მოთრეულხართ? სასტიკად გიბრძანებთ: ამ წამსვე დაიშალენით!

დამსწრეთ ხანგრძლივ მონობით დაჩაგრული სული, რასაკვირველია, იმ წამსვე კუნთებში გაგვეპარა; მაშინათვე უნებურად ვიგრძენით, რომ ბოქაულის პირით ყველა ერთგულ ქვეშევრდომთათვის ღრმად საგულისხმიერო ჭეშმარიტება მეტყველებდა, და თავ-ჩაქინდრულნი ნელ-ნელა წავიდ-წამოვედით თავ-თავიანთ ბინებისაკენ.

ჩვენმა თანამგზავრმა ისიც აგვიხსნა მხატვრულ—მოსწრებულად, რომ სრულიად რუსეთის ადმინისტრაციის თვალში სიტყვები „პიროვნების ხელ-შეუხებლობა“ ნიშნავს შემდეგს: „ცხვირ-პირში ცემას ნულარავის უბედავთ, დანარჩენ ადგილას, რამდენიც თქვენ გულს ენატრებოდეს, იმდენი მოსცხეთო.

მაგალითად, სთქვა ჩვენმა მესაუბრემ, ხალხის მოძრაობაში ერთ ჩემ ნაცნობ კაცს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია: ბუნებით მხდალი ადამიანია. იმან წინდაწინვე თავს უშველა, საზღვარ გარედ გაიქცა, რადგან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავს საზოგადოდ ჩვენში პიროვნების ხელ-შეუხებლობა. საზღვარზე ერთ უცხოელ კაცს გაეცნო, სხვათა შორის თავისი ამბავიც მოუთხრო და როცა უცხოელმა გაიკვირა, რომ იგი უდანაშაულოდ თავის სამშობლოდან ასე შორს გარბის, ჩემმა ნაცნობმა თავის გასამართლებლად შემდეგი სპარსული არაკი მოიყვანა:

„სპარსეთის საზღვარზე სასეირნოდ გამოსულ მოლა მასრადინას უეცრად შეეფეთა სპარსეთიდან უმაღლესი სისწრაფით გამოქცეული კურდღელი, რომელიც უცხოეთში იხიზნებოდა. მოლამ გააჩერა პაწია მხდალი ცხოველი და გაქცევის მიზეზი ჰკითხა.

—ჩვენმა მთავრობამ სასტიკი ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ჩვენში ყველა აქლემი ოთხსავე ფეხზე მაგარისა და მძიმე ნალებით უნდა დაჭედონ.

—მერე, შენ ხომ აქლემი არა ხარ?—გაკვირვებით მიუგო მოლამ:—შენ რაღას გაურბი?

—სადაური ხარ, მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილხარ?—ცოტათი გაჯავრებით უპასუხა კურდღელმა:—ნუ თუ არ იცი, რომ ჩვენში ჯერ დაგჭედენ და მერე მოდი შენ და დაუმტკიცე, რომ აქლემი არა ხარ.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ამაზე უკეთ ჩვენი დროის ვითარების ახსნა შეუძლებელია.

**ი. ნაკაშიძე**

## პრესსა

„ლახვარმა“ იწყინა „ხორცელდება პროლეტარიზაციის“ დაბეჭდვა: რისთვის ბეჭდავს „ისარი“ ჭორებსაო? ჩვენ ამისთანა წერილი რამდენიმე მოგვივიდა და ამიტომ დავბეჭდეთ და თან შენიშვნა დავსძინეთ, რომ დაუჯერებელი ფაქტებია; მხოლოდ გავიკვირვეთ, რათ არ უარჰყოფენ ს.-დემოკრატები ფართოდ გავრცელებულ ხმებსა. ფაქტია, რომ ასეთი მითქმა-მოთქმა არის და ადგილობრივ ს.-დემოკრატებს უთუოდ უნდა უარეყოთ მავნე ხმები... რაც შეეხება „ლახვარი“-ს ლაღადს, ფედერალისტებმა განზრახ დაბეჭდეს ჭორი, რათა იგი პარტიულ მიზნით გამოეყენებინათო, ამაზე სხვა არა გვეთქმის-რა, რომ „ჩემი შენ გიცხადიო, გული მოგიკალიო“: სწორედ ს.-დემოკრატიის ჩვეულებრივი ფარხმალია არა-თუ გაგონილ ჭორების დაბეჭდვა, არამედ ჭორების შეთხზვა და გავრცელება პარტიულის მიზნით...

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ზესტაფონი.** 4 დღე და ღამე გაგრძელდა ზესტაფონის სამეურნეო ბანკის წევრთა კრება. ორი დღის ანგარიში უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, და თუმცა იგი გაჭიანურდა, ჩვენ იძულებულნი ვართ, საზოგადო კრების წევრთა დასახასიათებლად, დანარჩენ ორ დღესაც გაუწიოთ ანგარიში. როცა ჯერი მიდგა საბჭოს წევრთა მოქმედებაზე, აღმოჩნდა, ბანკის კასის გახსნის მოლოდინში მათთვის ჩაებარებინათ 20.000 მანეთი იმ პირობით, რომ პირველ მოთხოვნილებასთანავე გამგეობის თავმჯდომარისათვის ჩაებარებინათ. როცა შესაძლებელი გამხდარა ფულის მოთხოვნა და კიდევაც მოუთხოვნიათ, საბჭოს წევრთა უმეტეს ნაწილს სრულიად არ დაუბრუნებია ფული და თავისთან დაუტოვებია იმდენი, რამდენიც სახელდახელო ანგარიშზე ჰქონია შენახული. ხოლო ერთს, სახელდობრ ილ. მაღლაკელიძეს, იანვრიდან მაისამდე 1000 მანეთი თავის საქმეზე მოუხმარებია. და როცა მისთვის შესაძლებელი გამხდარა თავისი ანგარიშით ბანკიდან ფულის გამოტანა, სარგებლით გამოუტანია, ხოლო თითონ ერთი გროში სარგებელი არ გადაუხდია. მიუხედავად ამისა, საბჭოს წევრებმა საყვედურის მაგივრად, კრების მხრით მადლობა დაიმსახურეს.

ჯერი მიდგა ანგარიშის განხილვაზე... თავითვე აღმოჩნდა, რომ თავმჯდომარეს გამგეობისას უარი განუცხადებია ანგარიშის ხელის მოწერაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა იმის ხელ-მოწერით დაუბეჭდიათ ანგარიში. დანარჩენ ორ წევრს გამგეობისას ანგარიშის განუხილველად მოუწერია ხელი, ხოლო ანგარიშის შემდგენელ საბჭოს წევრს, ილ. მაღლაკელიძეს, რომელიც დირექტორის მოვალეობას ასრულებდა დეკემბრიდან, არც უნებებია ხელის-მოწერა ანგარიშზე. არც სარევიზიო კომისიას განუხილავს იგი. ამ პირობებში კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მესამე დღიდან ვ. საყვარელიძის ნაცვლად ი. ოსელიანი, მაინც მოინდომა განხილვა და დამტკიცება. განხილვა რომ ვთქვი, ცოტა შეუფერებელი სიტყვა მომივიდა, ვინაიდან იგი შეეხო ილ. მაღლაკელიძის მოღვაწეობას. მას, წინააღმდეგ საბჭოს და გამგეობის გადაწყვეტილებისა, თავის შრომის სასყიდლად მიუღია ბანკის კასიდან 300 მანეთი, რომელიც ჯერ თავის ვალად ჩაუწერინებია და მერე ხარჯში გაუტარებინებია; გარდა ამისა მაღლაკელი თავის სიმპატიისა და ანტიპატიის დაგვარად ხან აძლევდა წევრებს სა-

ოროლა გამონაკლი, იქ მეორეც მალე გაჩნდება. დღეს იგი მონა-მორჩილი არ არის, რომელიც, მანქანად გარდაქცეული, იბრძოდა და იმარჯვებდა მხოლოდ სხვისათვის. ან განა „გლეხთა კავშირების“ პროგრამმა სოციალისტური არ არის? განა ევროპაში ცოტაა ჩვენ დროში შეგნებული გლეხი-სოციალისტი (აიღეთ თუნდა ბელგია)? კარგად დავაკვირდეთ აგრეთვე, თუ როგორია საზოგადოდ რუსის გლეხ-კაცობის სჯულთ შეგნება (правосознаніе). კერძო საკუთრება მის წარმოდგენას მიწაზე არსებითად ეწინააღმდეგება. მაგრამ ეხლა თვით სოციალ-დემოკრატია ველარ ჰბედავს ისე თამამად გლეხ-კაცობის რეაქციონერობაზე ლაპარაკს. აი, მაგალითად, ეხლახან მოხდა კონფერენცია ვოლგის ნაპირა გუბერნიებში მომქმედ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა, რომელიც „ადგილობრივ მუშაობისაგან მიღებულ გამოცდილებათა საფუძვლით“ პირდაპირ ამტკიცებს, რომ ლოზუნგი „მიწა“ ცენტრალური პუნქტია გლეხ-კაცთა ყველა მოთხოვნილებისა, რომ „ოპპოზიციური სული“ მეტადრე „გლეხ-კაცთა უღარიბეს ნაწილთა“ ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელია, რომ ეს უკანასკნელნი იჩენენ „მისწრაფებას ქალაქის და რკინის გზის პროლეტარიატთან დაახლოვებისას და სხ.

თუ ჩვენ მიერ „მანიფესტიდან“ მოყვანილ პირველ აზრის უსაფუძვლობა გლეხ-კაცთა შესახებ ბევრისათვის ჯერ კიდევ ცხადი არ არის, მაგიერ მეორე ზემოდ მოყვანილ მუხლის შესახებ ეხლა თითქმის არავინ აღარ დაობს: აქ როგორც „მანიფესტის“ მიმდევარნი, ისე მისი კრიტიკოსები ერთნაირად აღიარებენ, რომ ცხოვრებამ არ გაამართლა მოლოდინი „მანიფესტისა“, რომლის დასკვნანი აგრარულ სფერაში უფრო აპრიორული, კაბინეტური იყო, ვიდრე ცხოვრებიდან ამოღებულ რეალურ ფაქტებზე დამყარებული. ეხლა თითქმის ყველა ერთხმად აღიარებენ, რომ გლეხ-კაცობის წვრილი სამეურნეო წარმოება მეტად გამძლე გამოდგა, რომ მსხვილმა წარმოებამ სრულიადაც ვერ გააქრო იგი, რომ გლეხთა მასსა არ გაპროლეტარდა და, მიუხედავად ამისა, მისი და პროლეტარიატის ინტერესები ერთია. ეს კაი ხანია დაამტკიცა სტატისტიკამ, ეს დაამტკიცა სოფლის ცხოვრების ფაქტიურმა გაცნობამ და, საზოგადოდ, ობიექტურმა კვლევა-ძიებამ ეკონომიურ მოვლენათა სფერაში. ასეა ეს ევროპაში, ასეა ჩვენშიც.

ამ აზრის საარგუმენტაციოდ ჩვენ მრავალ საბუთს ვპოულობთ ლიტერატურაში და კერძოდ სოციალ-დემოკრატიულ მწერლობაშიაც-კი. ჩვენ წინა წერილში გაკვრით შევეხეთ კაუცკის აზრს ამ საგნის შესახებ. რაღაც ორნაირობას, ორჭოფობას ვამჩნევთ მის მსჯელობას აგრარულ საკითხების შესახებ. ერთის მხრით, იგი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველის შეხედულებებისაგან. „ყოვლად აუცილებელი დაღუპვა წვრილ მეურნეობისა—აი ის წითელი ძაფი, რომელიც გატარებულია მთელ ჩემ წიგნშიო“, ამბობს იგი. მეორეს მხრით ამისთანა წინადადებებსაც ხვდებით მის ნაწერში: „ეჭვს გარეშეა—და ჩვენ ამას ვთვლით წინდაწინვე დამტკიცებულად, რომ სასოფლო მეურნეობა არ ვითარდება იმავე შაბლონით, როგორც ინდუსტრია. სასოფლო-მეურნეობას თავისი საკუთარი კანონები აქვს“.

„იგი (სოციალ-დემოკრატია) ჰხედავს, რომ წვრილ სამეურნეო დაწესებულებათა გაქრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რომ მსხვილი სამეურნეო დაწესებულებანი ნელ-ნელა იპყრობენ ხელ-საყრელ მდგომარეობას, ზოგან კი მოპოვებულ პოზიციასაც კი ჰკარგავენ“.

„სასოფლო მეურნეობაში იგი (კაპიტალისტური წესი წარმოებისა) მხოლოდ ოდნავ ჰქმნის წარმოების კონცენტრაციას, მეორეს მხრით, პირიქით, მის დანაწილებას უწყობს ხელს“. *)

ან კიდევ გავიხსენოთ ის მეტად საგულისხმიერო სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა კაუცკიმ ჰანოვერის პარტეიტაგზე: „ვაღიარებ აგრეთვე, რომ ერფურტის პროგრამმის შედგენის დროს ჩვენ ბევრის მხრით სხვა აზრისა ვიყავით აგრარულ ევოლიუციის საკითხების შესახებ, ვიდრე ეხლა. მას აქეთ ბევრი სტატისტიკური ცნობა გამოქვეყნდა, და თვით პირობებიც იმდენად გამოიცვალა, რომ გარემოებათა ცვლილებას ჩვენ ანგარიშს ვუწევთ „ვამბობთ გულახდილად: რომ დამჰირვებოდა ხელ-ახლა ერფურტის პროგრამმის რედაქტორობა, მე, უეჭველია აგრარულ საკითხის შესახებ სხვა ფორმულიროვკას შევიტანდი“.

ასეთი რყევაც დიდ-მნიშვნელოვანია უდიდეს ორტოდოქსის მხრივ!

ცნობილი პროფ. ზომბარტი პირდაპირ ამბობს, რომ მარქსის სისტემა უეჭველია ინდუსტრიალურ განვითარებისათვის, ხოლო აგრარულ საკითხის გარდაწყვეტაში იგი არ გამოდგებაო.

ასევე ჰფიქრობს ემ. ვანდერველდეც, რომლის შეხედულებით, მიწათ-მოქმედებაში არა ხდება არაფერი ისეთი, რაიც ემსგავსებოდეს წვრილ მოვაჭრეთა მსხვილ მაღაზიების მიერ ან ხელოსანთა მსხვილ ფაბრიკების მიერ ექსპროპრიაციას.*) იმავე ვანდერველდს აღნიშნულ თხზულებაში მოჰყავს ბრესლავის სოც.-დემოკრატიულ კონგრესის (6—11 ოქტ. 1895 წ.) აგრარულ რეზოლიუციიდან შემდეგი ღირს-საყურადღებო სიტყვები: „კონგრესსი აღიარებს, რომ მიწათ-მოქმედებაში მოქმედებს განსაკუთრებული კანონები, განსხვავებული იმ კანონთაგან, რომელიც არსებობს მრეწველობაში. თუ სოციალისტებს ჰსურთ სოფლად თავიანთ სწავლის პროპაგანდას შეუდგნენ, ამ შემთხვევაში მათ უნდა შეისწავლონ და გამოიკვლიონ ეს კანონები“.**) მკითხველს ციტატებით აღარ დავღალავთ, მივმართავთ ამავე აზრით მხოლოდ ერთ უფრო ახალ მკვლევარ-მეცნიერის აზრს.

სოციალ-დემოკრატი, დოქტორი ედუარდ დავიდი ერთ თავის ვრცელ თხზულების უკანასკნელ თავში აი რას ამბობს:***) „დასასრულ, თუ გადავხედავთ ყველა იმ ფაქტებს, პრობლემებს და ტენდენციებს, რომელნიც აგრარულ ევოლიუციის საკითხთან არიან დაკავშირებულნი, ჩვენთვის ერთი რამ უეჭველი იქნება,—რომ მარქსისტული **სწავლა წარმოების კონცენტრაციაზე სასოფლო მეურნეობისათვის შეუფერებელია**“ „მაგრამ გლეხი სრულიადაც არა სწუხს იმ სიკვდილით განაჩენისა გამო, რომელიც გამოუტანა მას მარქსის თეორიამ. ისტორიამ არ იცის არც ერთი მაგალითი იმისა, რომ გლეხ-კაცები დაღუპულიყვნენ მსხვილ მეურნეთა ტეხნიკურ უპირატესობის წყალობით... მუშაობით მოცილეობაში გლეხ-კაცი დღევანდლამდე ყველგან ძლევა-მოსილი გამოსულა“. მსხვილი მიწათ-მოქმედება-კი, რომელმაც ვითომ გლეხ-კაცობის მეურნეობა უნდა მოსპოს, თანდათან უარესდება; და უფრო უარესიც დაემართებოდა, რომ კანონმდებლობას არ მოესწრო მისი შველა“... „**საერთოდ, როდესაც ინტენსიობა მატულობს, წვრილ მეურნეობა უკეთესს პირობებშია, ვიდრე მსხვილი**...“ „ამიტომ ერთ-ერთ არსებით საკითხად ჩვენ პირდაპირ და გადაჭრით მიგვაჩნია **მსხვილ სასოფლო სამეურნეო წარმოებათა გარდაქმნა წვრილ საგლეხოზე**.“

მცირე საგაზეთო წერილისათვის ესეც კმარა საბუთად. თუ რევიზიონისტები ცოდვილნი არიან, სოციალ-დემოკრატიულ კონგრესს ხომ მაინც დაეჯერება!

ჩვენი მხარეც კიდევ ერთი მეტი დამამტკიცებელი არგუმენტია. იმ სტატისტიკურ ანკეტიდან მიწათ-მფლობელობის შესახებ,****) რომელიც თავად-აზნაურობის ინიციატივით მოხდა, ცხადად სჩანს, რომ ქართლში სათავად-აზნაურო მამული რაც უფრო პატარაა, მით შედარებით უფრო მეტ შემოსავალს იძლევა და თვით რიცხვიც პატარა მამულებისა გაცილებით მეტია, ვიდრე დიდის მამულების რიცხვი. იგივე უფრო მეტ-ს უფლებით ითქმის იმერეთზე.

**გრ. გველესიანი.**

(მეორე თავის დასასრული იქნება)

*) იხ. კაუცკის „Аграрный вопросъ“, ნაწ. 1, გამოც. მეორე, ფეინბერგის რედაქტორობით, გვ. 13, 15, 398.

*) იხ. ვანდერველდეს: „Аграрный вопр“., გამოც. „Лучъ“-ისა, გვ. 81.

**) იხ. იქვე, გვ. 102.

***) იხ. დავიდის „Соціализмъ и сельское хозяйство“, გამოც. библіот. общест. поль-

****) ნარკვევი ამ სტატისტ. ცნობათა იხ. გაზ. „ისარში“.

ხელდახელდ ანგარიშის სარგებელს, ხან არა; ამ ნაირადვე იქცეოდა თურმე ვექსილების შესახებ. კრებამ მისი მოქმედება უკანონოდ სცნო და საქმე როცა იმაზე მიდგა, რომ თავისი აზრი უნდა გამოეთქვა ილ. მაღლაკელიძის შესახებ, მაღლაკელიძემ თითქმის თვალ-ცრემლიანმა მიმართა კრებას, ნუ დამღუპავთ და სამართალში ნუ მიმცემთო; კრება, რამდენადაც გუნცაძის მიმართ სასტიკი იყო, იმდენად მაღლაკელიძის მიმართ ლმობიერი აღმოჩნდა და შეიწყნარა მისი თხოვნა.

აქ გუნცაძე, რომელმაც კრებას ამხილა ზემოდ მოყვანილი საქმენი მაღლაკელიძისა, შეუდგა უკანასკნელ ბრალდების მოთხრობას მაღლაკელიძის წინააღმდეგ. ჯერ ორი სიტყვა არ ეთქვა, რომ ილ. მაღლაკელიძემ გააწყვეტინა ლაპარაკი და კრებას განუცხადა, თუ ბანკის დაღუპვა არ გინდათ, გუნცაძეს ლაპარაკის ნებას ნუ მისცემთო. ასტყდა აურ-ზაური—ზოგი ითხოვდა ყველაფრის თქმას, ზოგი-კი წინააღმდეგი იყო. დასასრულ ის კრება, რომელიც ორი დღის წინად მხნედ მოითხოვდა ყველაფრის გულახდილად თქმას, ეხლა შიშმა მოიცვა და გუნცაძეს ნება არ მისცა ნათელი მოეფინა ახლად საქმისთვის. შემდეგ ამისა ანგარიში განუხილველად დამტკიცდა.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას კრება დიდ ხანს არ მოუნდა და 6000 მანეთი დაამტკიცა ხარჯად.

შეუდგნენ არჩევნების საქმეს. მალე გამოირკვა, რომ პატიოსან კაცის გაწბილება ადვილი საქმეა, ხოლო სამაგიეროს პოვნა ძნელი. ჯამაგირიან ადგილზე დაასახელეს ბეს. კელენჯერიძე და ომ. იოსელიანი. ბ-მა კელენჯერიძემ უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და გრძელსა და მოხდენილ სიტყვაში კრებას დაუხატა თავისი სურათი, რომელმაც აშკარად გაჰხადა ის, რომ თავის თავის პატივის-მცემელი კაცი, თუ სახელის შებღალვა და გაწბილება არ უნდა, არ ისურვებს ასეთ პირობებში მუშაობას. ბ-მა ომ. იოსელიანმაც ამავე მოსაზრებით და იმითიც, რომ საქმე არეულ-დარეულია და ანგარიში სათანადო პირთაგან არ არის ხელმოწერილი, უარი განაცხადა, ხოლო როცა აღარ მოეშვნენ, მაშინ თანხმობა განაცხადა, მაგრამ დაუმატა, თუ შესაძლებლად ვერ ვცანი სამსახური საქმის ვითარების დაგვარად, უარს განვაცხადებ ბანკში სამსახურზეო. ამის შემდეგ ზოგიერთმა მოინდომა კენჭის ყრა, მაგრამ დასახელებულმა კანდიდატმა, რომელიც ამავე დროს კრების თავმჯდომარეც იყო, ჩვენდა გასაოცრად განაცხადა, რომ თუ ამირჩიეთ ერთხმად, უკენჭოდ, თანახმა ვიქნები და თუ არა, უთს არ დავიდგამო. კრებას სხვა გზა არა ჰქონდა და არა ჩვეულებრივი სურვილი ბ-ნ იოსელიანისა დააკმაყოფილა. ჯერი მიდგა ორ დირექტორის არჩევაზე. აქაც კანდიდატები ვერ იპოვეს და ვიდრე დასახელებულ კანდიდატებს კრებამ არ განუცხადა, რომ საქმის ლიკვიდაციას დავნიშნავთო, ს. მამალაძემ და ტრ. ნიორაძემ თანხმობა არ გამოუცხადეს. ორივე არჩეული გამომძიებელ კომისიის წევრებად იყვნენ. საბჭოს წევრებად ბევრის ვაი ვაგლახის შემდეგ აირჩიეს ბ. კელენჯერიძე, გ. საყვარელიძე (რომელნიც არჩევის დროს კრებას არ დასწრებიან), გ. გველესიანი, გ. მაღლაკელიძე და სხვანი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: მ. გაჩეჩილაძე, (ყოფილი დირექტორი), ილ. მაღლაკელიძე (ყოფილი თავმჯდომარე საბჭოსი და მერე დირექტორი) და პლ. ლეჟავა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გამომძიებელ კომისიის რამდენიმე წევრმა და თვით კრების მონაწილეებმაც განაცხადეს, რომ ჩვენ იოს. გუნცაძეს იმ ბრალს-კი არა ვდებთ, ვითომ ფული მიითვისა, არამედ მას, რომ მან ზომები არ მიიღო დაკარგულ ფულის აღმოსაჩენადაო. ამასთან ამავე პირებმა უარი განაცხადეს ბ-ნ გუნცაძის ბრალდებაზე.

**დამსწრე.**

## სასამართლო

**საქმე იარაღის შემოტანის შესახებ.**

(წერილი ქუთაისიდან)

უკვე გაცნობეთ, რომ 15 მაისს ბათუმში გაირჩევა საზღვარ-გარეთიდან ფოთში იარაღის შემოტანის საქმე.

ბრალდებაში მიცემულნი არიან შემდეგი პირნი: ქიშვარდი კეკელიძე, კონსტანტინე გიგინეიშვილი, აკაკი ლოლუა, ანტონ ქუდენტი, იასონ ჩიხლაძე, ვიქტორ კალანდარიშვილი, სვიმონ კიწურაძე, ალექსი ბოლქვაძე, სტეფანე ცავა, სიო ხავთასი, ალექსი ურუშაძე, ბესარიონ თავბერიძე, სიო დოლიძე, საჩინო ჭედია, ზოსიმე ხუბუა, ნიკოლოზ ადამია, ელიზბარ ჩარტია, კირილე კორშია და ივანე გობაძიძე.

საბრალმდებლო ოქმი ასე ასწერს საქმის გარემოებას: 13 ნოემბერს 1905 წელს, ღამე, შავი ზღვის მოსაზღვრე რაზმის უფროსმა პორუჩიკმა კრეჩეტოვმა მიიღო ცნობა, რომ პორტის პირში მრავალი ხალხია შეკრებილი, რომელსაც ნავიდან ქალაქში იარაღი გადმოაქვსო. ამის გამო კრეჩეტოვმა რამდენიმე ჯარის კაცი ხიდზე ჩაასაფრა. პატარა ხანს უკან სროლა ასტყდა და მყისვე მოსულმა კრეჩეტოვმა ჯარის კაცებით ღამე დევნა დაუწყო დაქსაქსულ ხალხს, ძარღით შეიპყრო ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი სიო დოლიძე, ბესარიონ თავბერიძე, დათო გიორგაძე, საჩინო ჭედია და აკაკი ლოლუა, რომელთაც იარაღი ჩამოართვა და შემდეგ ამისა პოლიციას გადასცა. ყაზახების მოსვლისათანავე კრეჩეტოვმა შემოარტყა ალყა რუსეთის სანავოსნო საზოგადოების პაკჰაუზს. სადაც უცნობნი ყუთებს ამტვრევდნენ. ჯარის მოახლოვებაზე ისინი აქეთ-იქით გაიფანტნენ. უმრავლესობამ ყუთები შემთხვევით მიმავალი საბარგო მატარებლით წაიღო და სროლა ასტეხა. პაკჰაუზში აღმოჩნდა გახსნილი და გაუხსნელი ყუთები. ყუთებში ეწყო შვეიცარიის სისტემის მსწრაფლ-მსროლელი თოფები, ხუთასი ხიშტი და პატრონები. პაკჰაუზის გაჩხრეკის დროს ბრეზენტების ქვეშ აღმოჩნდნენ ბესარიონ თელია, ნიკო სტურუა და ერასტო ვაშაკიძე. საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ღამე ნაპირს მოადგა ნავი, რომლიდანაც გადმოიტანეს იარაღი; მერე ნავი ისევ ზღვაში დაბრუნდა. სულ აღმოჩნდა 114 ყუთი თოფებითა და პატრონებით, რომელთაგან 31 ყუთი გახსნილი და დაცარიელებული იყო. ამავე ღამეს ჯარმა იპოვნა 800 თოფი და 58 ყუთი პატრონებით სავსე. მიუღია თუ არა პორუჩიკ კრეჩეტოვს ცნობა, რომ ნაწილი იარაღისა ბარკასშია, მას 14 ნოემბერს ჯარი წაუყვანია და «რიონით» გემის საშებრად წასულა. ანაკლიიდან სამი ვერსის მანძილზე დასწევია გემ «მაგრატონას», რომელზედაც აღმოჩნდნენ შემდეგი პირნი: ზოსიმე ხუბუა, ილია პაჩულია, ისიდორე პოკუჩავა, ელიზბარ ჩარტია, კირილე კორშია, ევგენი ნანეიშვილი და ლავრენტი გიზშერია. ეს შეპყრობის შემდეგ გადაუცია ადმინისტრაციისთვის. გემზე უნახავს 1200 თოფი და 220,000 პატრონა.

ამის გამო დასახელებულ პირთ ჰბრალდებათ ის, რომ 1905 წლის დამლევს ქალაქ ფოთში მონაწილეობას იღებდნენ შეთქმულებაში, რომელსაც აზრად ჰქონდა რუსეთის წეს-წყობილების შეცვლა, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება. ამისათვის მათ ჰქონდათ იარაღის საწყობი. ბრალდებულთაგან, როგორც ოქმშია აღნიშნული, კობახიძე, ჩიხლაძე და კალანდარიშვილი მიტინგებზე ქ. ფოთში საჯაროდ ამტკიცებდნენ არსებულ წესწყობილების უვარგისობას და ხალხს იწვევდნენ შეიარაღებულ აჯანყებისადმი. კეკელიძე ასრულებდა მსაჯულის მოვალეობას. ბოლქვაძე, კიწურაძე, გიგინეიშვილი ურუშაძე და ადამია განაგებდნენ იარაღის საწყობს და მოქალაქეთ ურიგებდნენ იარაღს. ქუენტი განაგებდა გაფიცვებს. ცავა, ხაფთასი, დილიძე, ჭედია და ლოლუა სხვებთან ერთად შეადგენდნენ მებრძოლ რაზმს, ხოლო ხუბუას, ჩარტიას და ყორშიას მინდობილი ჰქონდათ ზღვით მოსულ იარაღისა და პატრონების გადმოტანა.

ასე აგვიწერს საბრალმდებლო ოქმი ამ საქმეს. მოწმედ მოწვეულია 29 კაცი.

## რუსეთი

**✦ პოლიციის დეპარტამენტის მოქმედება.** გაზ. „რუს. სლ-“-ოს სიტყვით, ის ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც თავის ფურცლებზე ადგილს უთმობენ ცნობებს ინგლისში რუს სოციალ-დემოკრატთა კრების შესახებ, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**✦ მუშათა კოოპერაცია** რუსეთის გაზეთებში ცნობებია მოთავსებული იმის შესახებ, რომ სხვა და სხვა ქალაქებში იზრდება მუშათა კოოპერატიული მოძრაობა. სხვათა შორის ქ. ელისავეტგრადის მუშებს იჯარით აუღიათ ადგილობრივი ქარხანა სამეურნეო მანქანებისა და იარაღის და საერთოდ ამხანაგურად მოუწყვიათ მუშაობა.

**✦ ყალბი ოფიციალური ცნობები.** მიმდინარე წლის მარტში შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა სათათბიროს კომისიას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი პური გაიგზავნა დაშიულ გუბერნიებში. გაზ. „ტოვარ.“-ი ადარებს ამ ცნობებს სარატოვის გაზეთებში ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობებს და შემდეგ თვალ-საჩინო სიყალბეს ნათელ ჰყოფს. სამინისტროს მიერ სათათბიროს კომისიაში გადაცემულ ცნობებით სარატოვის გუბერნიაშია გაიგზავნა და ადგილობრივ შეძენილ იქნა სულ ოთხ მილიონ ფუთამდე პური; ადგილობრივ ოფიციალურ ცნობებით კი მთელი გაგზავნილი და ადგილობრივ ნაყიდი პური სამინისტროს მიერ ნაჩვენებ რიცხვზე 680 ათასი ფუთით მეტი გამოდის.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი

**პელოსტოკი.** ორი შეიარაღებული კაცი ფეიქრის მინესს სახლში მიუხტა და ხუთჯერ ესროლა, მინესი მოკვდა. მკვლელნი მიიმალნენ.

**ჩენსტოხოვი.** ქალაქის მახლობლად უცნობებმა სამს პოლიციელს სროლა აუტეხეს. ორი პოლიციელი მოჰკლეს, მკვლელნი მიიმალნენ.

**მოსკოვი.** პოკროვკაში ოლოვინა ნიკოვის სახლში იპოვნეს 6 ფუთი ს.-რევოლიუციონერების პროკლამაციისა.

**ვენა.** სოციალისტ გრიგოროვიჩის მომხრეებმა ჩერნოვიცაში არეულობა მოადინეს. უნდოდათ ოლქის უფროსის სახლსაც დასცემოდნენ. მიზეზი გრიგოროვიჩის არჩევნების დროს დამარცხებაა. პოლიციამა და ჯარმა მანიფესტანტები გაფანტეს. მძიმედ დაშავდა ხუთი პოლიციელი და ორი გარეშე. დააპატიმრეს 100 კაცი.

**ბომბეი.** ადგილობრივ გაზეთის «ინდიან-ხომრულერი»-ს რედაქტორს ერთი წლით დაპატიმრება მიუსაჯეს ხალხის არეულობისადმი მოწვევისათვის.

**პეტერბურგი.** 3 მაისს ამოიღეს წყლიდან გემ «ასტრახანზე» დამხრჩვალთა ხუთი გვამი. სამოსამართლო პალატამ დანციგის ქალს 8 წლის კატორგა მიუსაჯა ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვისთვის. ფერშალ ქალს რაპოპორტს მიესაჯა სამი წლით დაპატიმრება პროკლამაციების ბეჭდვისათვის.

**იუზოვკა.** 1 მაისს საღამოთი ორმა მუშამ მოჰკლა «რუსსკი პროვიდანსი»-ს მაღაროს გამგე ბრონისლავ მონასტირსკი.

**ოდესსა.** აგენტების ჩვენებით პოლიციელები დასაჭერად გამოუდგნენ ვიღაც უცნობს. უცნობი გაიქცა და თან სროლა ასტეხა. ერთი პოლიციელი მძიმედ დასჭრა. უცნობი მიიმალა.

**ნიკოლაევი.** დასჭრეს სალდათი, რომელიც თოფისწამლის სარდაფს დარაჯობდა. მსროლელი მიიმალა.

**ვიბორგი.** 3 მაისს ღამე სოფ ხაპალაში რუსეთის საზღვრიდან 11 კილომეტრის მანძილზე, დააპატიმრეს 11 საეჭვო კაცი. ჩხრეკის დროს მათ სახლში აღმოჩნდა ლაბორატორია. დამზადებული ყუმბარები, და სხვა და სხვა მასალა. მათი ვინაობა არ იციან.

**გროდნო.** უცნობებმა პრუჟანაში მძიმედ დასჭრეს პოლიცელი.

**ზეშიე.** ბაზრის წვრილმა მოვაჭრე ქალებმა მანიფესტაცია გამართეს, რათა პროტესტი გამოეცხადებინათ ქალაქის თვით-მართველობის წინააღმდეგ, რომლის შენობაზედაც წასულ კვირას, მეღვინეთა პროცესის დროს, ბაირაღი არ იყო გამოფენილი. მანიფესტაციის დროს შეტაკება მოხდა პოლიციელებთან. პოლიციამ ორჯელ ესროლა. აღელვებულმა ხალხმა თვითმართველობის სახლს ალყა შემოარტყა.. რკინის მავთულიანი კარები გატეხა, ავეჯეულობა გარედ გამოყარა და ცეცხლი წაუკიდა. შეტაკების დროს 19 კაცი დაიჭრა. ჯარმა წესიერება აღადგინა. თვითმართველობის წევრნი სამსახურიდან გადადგნენ.

**ორიოლი.** ბრიანსკში მოჰკლეს კერძო ბოქაულის თანაშემწე და პოლიციელი ცელინსკი. დასჭრეს ბოქაული სოკოლოვი და ერთი პოლიციელი.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის ცენტრალურმა ორგანომ, სტუდენტთა ყრილობის დადგენილება უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, უკანონოდ სცნო და ხელ-ახალი კრება დანიშნა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა განიხილა შინ. საქმეთა მინისტრის ამხანაგად ნამყოფის გურკოს საქმე და თანახმად სენატის დადგენილებისა, სამართალში მისცა იგი.

**ლოძი.** პოდლესნის ქუჩაზე ფოსტას დაეცნენ. ფოსტის მოხელეთა გარდა ფოსტას მოყავდა მცველად ოთხი კაზაკი. თავ-დამსხმელნი 30-მდე იყვნენ. ასტეხეს სროლა. ერთი კაზაკი მოკლულია, ორი მძიმედ დაჭრილი. მოხელე დასჭრეს ფეხში, ორი ცხენი მოკლულია, ერთი დაჭრილი. მოიტაცეს 88,728 მანეთის ვექსილები და კიდევ სხვა ვექსილები 1019 მანეთისა. ნაღდი ფული პარკებში არ იყო. ჩქარა გაჩნდა პატრული, მოეშველნენ კაზაკებიც. თავდამსხმელთ თავი კუტლერის ფაბრიკას შეაფარეს და სროლა ასტეხეს. კაზაკებმა სროლითვე უპასუხეს, 19 კაცი მოკლულია და 34 დაჭრილი. ფაბრიკის ეზოში იპოვნეს ბევრი ცარიელი პატრონები. იმ ადგილს ჯარი შემოარტყეს. ფაბრიკაში მუშაობა შეწყვიტეს. ჩხრეკავენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის, მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს ეფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—5)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაც სურს იკისროს სამუშაო [illegible] მილის ორთქლით მომუშავე ტურბინების მოსათავსებლად.

ამ სამუშაოში შედის: მიწის ამოთხრა მთელ შენობისა და საძირკვლის ქვეწყლის გადაგდება, ბეტონის სამუშაო კედლების ნაწილისა და იატაკისთვის, ქვის კედელი, ზემოდ კიდევ აგურის კედელი; შიგნით საჭიროა გაჯით შელესა.

სიტყვიერი ვაჭრობა დანიშნულია საშაბათს 8 მაისს 12 საათისთვის ქალაქის გამგეობის სადგომში. ბედ საჭიროა 300 მანეთი.

მსურველს ტეხნიკური პირობები და სურათები შეუძლიან გაიცნოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში. (1—6—1)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი

**ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ.

ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—5) პატივ. **ო. კორონ[illegible]**

**ქართველ** ახალგაზრდა მწერალთა, მთარგმნელთა, **წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—22) ია ეკალაძე-ცინცაძე.



## ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ.

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**სავაჭრო სახლი**

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—23)